ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №42

2010 წლის ----5----- ნოემბერი

ქ. ქარელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქარელის კეთილმოწყობის სამსახურის" დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ" ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. მოხდეს შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რეორგანიზაცია:

ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქ. ქარელის გარე განათება"ს/კ 240896116;

ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქ. ქარელის დასუფთავება" ს/კ 240896125;

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,დაბა აგარის გარე განათება"ს/კ 240896063;

დ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,დაბა აგარის კეთილმოწყობა" ს/კ 240896072.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქარელის კეთილმოწყობის სამსახური".

3. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქარელის კეთილმოწყობის სამსახურის" წესდება (თან ერთვის).

4. დაევალოს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ამ განკარგულების აღსრულება.

5. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ღვინიაშვილი**

დამტკიცებულია ქარელის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის

———5 ———-——— №42 განკარგულებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"

წესდება

მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"
2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში – „საზოგადოება")
3. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.
4. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"
5. საზოგადოება წარმოადგენს მართლზომიერ, არაერთჯერად, დამოუკიდებელი და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებისათვის, მოგების მიღების მიზნით შექმნილ დაწესებულებას.
6. საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე და შეუძლია გაავრცელოს იგი უცხოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც.

მუხლი 2. საზოგადოების ბეჭედი და საქმიანი წერილის სავალდებულო რეკვიზიტები

1. საზოგადოებას შეიძლება ქონდეს ბეჭედი საფირმო სახელწოდებით.
2. საზოგადოების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე ან საზოგადოების მიერ ხელმოწერილ სხვა დოკუმენტებზე საზოგადოების ბეჭდის არსებობა ან არარსებობა არ წარმოშობს რამე სამართლებრივ შედეგს და მას აქვს მხოლოდ დამატებით დაცვითი ფუნქცია. დოკუმენტების ნამდვილობისათვის გადამწყვეტია საზოგადოების დირექტორის ხელმოწერა.
3. საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს კანონმდებლობით დადგენილი რეკვიზიტები.

მუხლი 3. საზოგადოების იურიდიული მისამართი, სამეურნეო წელი და საზოგადოების არსებობის ხანგრძლივობა

1. საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ქარელი სტალინის ქ№26
2. საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს
3. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 4. საზოგადოების მიზანი და საქმიანობის საგანი

საზოგადოების საქმიანობის საგანია

1. ქალაქის ქუჩების დაცვა-დასუფთავება
2. ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობა
3. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა
4. ქუჩებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა და გამწვანება
5. დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა
6. გარე განათების მოვლა-პატრონობა
7. სარემონტო სამუშაოების ჩატარება

საზოგადოების მიზანია

1. ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება
2. სკვერების ქუჩებისა და პარკების გამწვანება
3. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა
4. ქუჩებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა და გამწვანება
5. დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა
6. გარე განათების მოვლა-პატრონობა
7. თავისი ამოცანების შესასრულებლად საზოგადოებას უფლებ ააქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა საქართველში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. საზოგადოების პარტნიორები

1. საზოგადოების დამფუძნებელია და 100% წილის მფლობელია ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. პარტნიორთა ფუნქციას სრულად ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 6. დამფუძნებლის უფლებები

პარტნიორი უფლებამოსილია:

1. შეამოწმოს წლიური ანგარიში
2. შეცვალოს საზოგადოების წესდება, გაზარდოს ან/და შეამციროს საზოგადოების კაპიტალი
3. მთლიანად ან/და ნაწილობრივ გაასხვისოს საზოგადოების ქონება
4. მოახდინოს საზოგადოების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
5. მიიღოს დივიდენდები საზოგადოების წმინდა მოგებიდან

მუხლი 7. წილის ან/და ქონების გასხვისება

საზოგადოების წილის ან/და ქონების გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ დამფუძნებელს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ შემთხვევებში/

მუხლი 8. დივიდენდი

1. დამფუძნებელს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი
2. დივიდენდი გაიცემა წილის პროპორციულად დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე
3. დაუშვებელია მოგების განაწილება და დივიდენდის გაცემა თუ დამტკიცებული წლიური ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოების წმინდა აქტივები აღმოჩნდა ან შესაძლოა აღმოჩნდეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალზე ნაკლები

მუხლი 9. საზოგადოების ხელმძღვანელობის კონტროლი

1. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას;
2. დირექტორი ვალდებულია პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია პარტნიორს საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს საშუალება, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

3. დირექტორი უფლებამოსილია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უარი თქვას ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე, წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება გამოიყენოს საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისთვის და ამით საზოგადოებასა და /ან მის მეკავშირე საწარმოებს მოუტანოს უარყოფითი შედეგები. დირექტორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, სარჩელის შეტანის უფლება აქვს იმ პარტნიორს, რომელსაც ეთქვა უარი ინფორმაციის მიღებაზე.

მუხლი10. საზოგადოების პარტნიორის ვალდებულება

1. საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია:

   ა)არ გაახმაუროს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

   ბ)თავისი ქმედებით არ შელახოს საზოგადოების იმიჯი და ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას.

2. საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია შეიტანოს შენატანი (მათ შორის დამატებითი) საწესდებო კაპიტალში.

მუხლი 11. წლიური ანგარიშის დამტკიცება

1. დირექტორი ვალდებულია სამეურნეო წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში შეადგინოს ბალანსი და საზოგადოების საქმიანობის შესახებ ანგარიში, აგრეთვე მოგების განაწილების შესახებ წინადადება.
2. ანგარიში უნდა წარედგინოს პარტნიორებს;
3. თუ საზოგადოებას დანიშნული ჰყავს აუდიტორი ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტორის დასკვნა

მუხლი12. საზოგადოების დირექტორი

1. საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორი
2. დირექტორი არ შეიძლება იყოს საზოგადოების პარტნიორი
3. დირექტორი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს საცხოვრებელი ადგილი საქართველოში.

მუხლი 13. საზოგადოების დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი

1. საზოგადოების დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან ამისათვის უფლებამოსილი პირი
2. დირექტორთან უნდა დაიდოს ხელშეკრულება, რომელშიც სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად უნდა მიეთითოს:

ა)შრომის ანაზღაურების ოდენობა, წესი და პირობები;

ბ)კომპენსაციის გაცემის წესი და პირობები დირექტორის ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში;

ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. დირექტორი შეიძლება გათავისუფლდეს ნებისმიერ დროს მიუხედავად მასთან დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადისა, გადაწყვეტილება არ საჭიროებს დასაბუთებას . ამასთანავე დირექტორს რჩება უფლება მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია ვადამდელი განთავისუფლების გამო საზოგადოებას კი აქვს უფლება წაუყენოს შესაგებელი კომპენსაციის საწინაარმდეგოდ

4. დირექტორის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან. განთავისუფლებისთანავე დირექტორი ვალდებულია შეწყვიტოს თავისი ფუნქციების შესრულება და უზრუნველყოს საქმეთა გადაბარება საზოგადოების პარტნიორებისათვის, ამასთანავე მესამე პირების მიმართ გადაწყვეტილება დირექტორის განთავისუფლების შესახებ ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 14. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლება-მოსილება

1. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირთან ურთიერთობაში.
2. დირექტორი წარმომაგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის დარღვევისათვის პასუხს აგებს დამფუძნებელსა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.
3. დირექტორი თავის უფლებამოსილებებს აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებს წერილობითი სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილებების მეშვეობით.

მუხლი 15. დირექტორის ვალდებულებები

1. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. თუ დირექტორი დაარღვევს ამ ვალდებულებას, იგი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე
2. დირექტორი უზრუნველყოფს საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოებასა და მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალიანების დადგენის შემთხვევაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე, არა უგვიანეს სამი კვირისა, განაცხადოს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შესახებ. დირექტორის ქმედება განცხადების ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა თუ დირექტორი გაკოტრების საქმისწარმოების გახსნას ეპყრობა ამ მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერებით.
4. დირექტორი ვალდებულია შეასრულოს ამ წესდებით დადგენილი სხვა ფუნქციები
5. დირექტორის პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება დავალების ხელშეკრულებისათვის დადგენილი ნორმები.

მუხლი 16. კომერციული საიდუმლოების დაცვა

1. დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომერციული საიდუმლოების დაცვა

2. დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გამო.

3. ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ
4. დირექტორი მოქმედებდა პარტნიორთა კრების კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე და მის ფარგლებში.

მუხლი 17. დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები

1. დირექტორის მიერ მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში საზოგადოებას უფლება აქვს რეგრესის წესით მოთხოვნა წაუყენოს დირექტორს.
2. საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება დავალების ხელშეკრულებისათვის დადგენილი ნორმები.

მუხლი 18 საქმეთა წარმოება

დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს საქმის წარმოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. ფილიალები

1. საზოგადოებას უფლება აქვს, დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ.

2. გადაწყვეტილებას საზოგადოების ფილიალის დაარსებისა და მისი ხელმძღვანელი პირის დანიშვნის შესახებ იღებს დამფუძნებელი, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარდგინებით.

3. ფილიალი თავის საქმიანობას წარმართავს დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

მუხლი 20. აუდიტი და რევიზია

1. ქარელის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ნიშნავს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, დამფუძნებლებისაგან და დირექტორისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს;

2. აუდიტორი ვალდებულია ჩაატაროს რევიზია და და შეადგინოს შემოწმების აქტი;

3. რევიზია მოიცავს ანგარიშების, წლიური ანგარიშისა და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას;

4. შემოწმების აქტიდან უნდა ჩანდეს, რომ სავალდებულო რევიზია ჩატარებულია

საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, ასევე დირექტორის პროკურისტების მიერ გაცემული განმარტებებისა და მტკიცებულებების, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე.

5. აუდიტორმა რევიზიის აქტში უნდა მიუთითოს შემოწმების ადგილი და დრო.

მუხლი 21. საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია

1. გადაწყვეტილებას საზოგადოების ნებაყოფლობით ლიკვიდაციის შესახებ იღებს საზოგადოების დამფუძნებელი, რომლის შემდეგ იწყება ლიკვიდაციის პროცესი
2. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტისა და ლიკვიდაციის დაწყების შესახებ უნდა წარედგინოს სამეწარმეო რეესტრს
3. საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს დირექტორი ან დამფუძნებლის მიერ საამისოდ დანიშნული პირი (ლიკვიდატორი).

მუხლი 22. განცხადება გაკოტრების შესახებ

გაკოტრება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 23. დოკუმენტების შენახვა

1. საზოგადოების დოკუმენტები ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისთანავე გადაეცემა სახელმწიფო არქივს
2. დოკუმენტაციის გადაცემის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იქნეს ლიკვიდაციის პროცესში.